ნინო გიორგაძე

PR და კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამა
კავკასიის მედიის სკოლა
კოჩის უნივერსიტეტი, თურქეთი

“ყოველთვის მქონდა საზღვარგარეთ სწავლის სურვილი, თუმცა არასდროს მიფიქრია თურქეთში განათლების მიღებაზე, სანამ კავკასიის უნივერსიტეტმა ჩვენს ფაკულტეტზე გაცვლითი პროგრამა არ შემოგვთავაზა.

სტამბოლი ჩემთვის ყოველთვის საიდუმლოებებით მოცული და განსაკუთრებული ისტორიის მქონე ქალაქი იყო თავისი უნიკალური ხასიათით, რომელიც არცერთ ქალაქს არ შეედრება. ამიტომაც გადავწყვიტე სტამბოლში მეცადა ბედი. საბედნიეროდ ეს შესაძლებლობა მომეცა და Erasmus+ პროგრამა ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და სახალისო გამოცდილებად იქცა.

2025 წლის გაზაფხულის სემესტრში ვსწავლობდი კოჩის უნივერსიტეტში, რომელიც თურქეთის წამყვან უნივერსიტეტად ითვლება. ბედნიერი ვარ, რომ მივიღე ხარისხიანი ცოდნა გამოცდილი პროფესორებისგან, ახალი უნარები და ისეთი აკადემიური გამოცდილება, რომელიც მხოლოდ საერთაშორისო განათლების გზით არის შესაძლებელი.

ყველაზე ძვირფასი ადამიანური ურთიერთობები აღმოჩნდა. შევიძინე ძალიან ერთგული მეგობრები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან, გავეცანი სხვადასხვა კულტურებს და ფასეულობებს.

ახალ გზაზე ბევრი დაბრკოლების მიუხედავად, ვფიქრობ, ამ გამოცდილებამ უფრო გამაძლიერა და დამოუკიდებელი გამხადა. ჩემი ეს გადაწყვეტილება ერთ-ერთი გარდამტეხი იყო როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული განვითარებისთვის. Erasmus+ პროგრამამ მომცა საშუალება გამეტარებინა შემეცნებით და მოგზაურობით სავსე სემესტრი უცხო ქვეყანაში.

დარწმუნებული ვარ ეს გამოცდილება ჩემს მომავალ კარიერაში ძალიან გამომადგება. ყველა სტუდენტს გავუწევდი რეკომენდაციას , რომ გაბედონ და ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვან.“